გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 62

2025 წლის 13 მაისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ა(ა)იპ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობისთვის'' (ს/ნ 203839766) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 8 აპრილს (№ 10/2025098361-20) შემოსულია ა(ა)იპ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობის'' (ს/ნ 203839766) წერილი, რომელშიც მოთხოვნილია საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება, რომლის საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელი ზემო ნიქოზში, მე-2 ქუჩა, N51 - ში მდებარე ს/კ 66.41.04.000.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენონა-ნაგებობიდან, ნაწილი ფართი - 60 კვ.მ უძრავი ქონება.

აუდიტური კომპანია შპს „კომპაუდის" 2025 წლის 17 აპრილს №071-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ნიქოზი, მე-2 ქუჩა, N51) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.41.04.000.025) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - დან, 60 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 20,000.00 (ოციათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზემო ნიქოზში მე-2 ქუჩა, N51 - ში მდებარე, ს/კ 66.41.04.000.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან, ნაწილი ფართის - 60 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზემო ნიქოზში, მე-2 ქუჩა, N51 - ში მდებარე ს/კ 66.41.04.000.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან, ნაწილი ფართი - 60 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობას'' (ს/ნ 203839766).

2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში, მე-2 ქუჩა, N51, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.41.04.000.025) განთავსებული შენონა-ნაგებობა N1 - დან - 60 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 20,000.00 (ოციათასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6. მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა ორგანიზაციის ოფისის განსათავსებლად.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე